

საიდ. №72937/03

IR 1163329

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №168-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ადამა რეგისტრეიშენ ბ.ვ.“ (ADAMA Registrations B.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №168-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1893/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KESTREL“ (საიდ. №72937/03 IR 1163329) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საექსპერტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის №1893/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "KESTREL" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის "EGIS GYOGYSZERGYÁR Nyilvánosan Működő Részvénytársaság" სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „ESTREL“ (IR 1120874, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი 25.04.2012). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ მსგავსი ჟღერადობა. ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ადამა რეგისტრეიშენ ბ.ვ.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „05 – პესტიციდები, ინსექტიციდები, ჰერბიციდები და ფუნგიციდები“ (Pesticides, insecticides, herbicides and fungicides). დაპირისპირებული ნიშანი კი, რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „05 – ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის“ (Pharmaceutical preparations for human use). აპელანტის პოზიციით, მიუხედავად

იმისა, რომ ნიშნები მსგავსია და განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ასოთი, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული საქონელი მიეკუთვნება ერთი და იმავე კლასს, საქონლის ჩამონათვალი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ გამორიცხულია ნიშნების აღრევის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ ნიშნებით ნიშანდებული საქონლის გასაღების ადგილები სხვადასხვაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1893/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KESTREL” (საიდ. №72937/03 IR 1163329) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ მართალია, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება

მოითხოვება მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „პესტიციდები, ინსექტიციდები, ჰერბიციდები და ფუნგიციდები“ (Pesticides, insecticides, herbicides and fungicides), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანის მოხმარებისთვის“ (Pharmaceutical preparations for human use).

კოლეგია განმარტავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები. ნიშნებს შორის მხოლოდ ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება, არ არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველი, რადგან კანონის ზემოაღნიშნული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის მსგავსებას. იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაპირისპირებული ნიშნებით ნიშანდებული მე-5 კლასის საქონელი, განსხვავებულია ბუნებით, ხასიათით და დანიშნულებით, კერძოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს შხამ-ქიმიკატები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება მცენარეების სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე მღრღნელების გასანადგურებელი საშუალებები, ხოლო მეორე შემთხვევაში გვაქვს ფარმაცევტული საქონელი, რომელიც გამოიყენება ადამიანის სამკურნალოდ.

განსხვავებულია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული საქონლის რეალიზაციის ადგილიც, შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KESTREL“ (საიდ. №72937/03 IR 1163329) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ადამა რეგისტრეიშენ ბ.ვ.“ (ADAMA Registrations B.V.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 ივლისის №1893/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KESTREL“ (საიდ. №72937/03 IR 1163329) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „KESTREL” (საიდ. №72937/03 IR 1163329) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

დ. ჭიჭინაძე